ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N2

21.12.2021 წელი
12:30 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 2-01

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს, 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **აკაკი ალადაშვილი** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ნინო მაღრაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. *(საფუძველი წერილი N12-032135419-03; 20.12.2021 წელი);*
   მომხსენებელი - ლევან მიქავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-03213504-03; 16.12.2021 წელი);*

მომხსენებელი - ნინო მაღრაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-032135119-03; 17.12.2021 წელი);*

მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გიორგი ჩაკვეტაძე - სხდომის შესავალში მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებს ნდობისთვის, რომ მაქვს შესაძლებლობა გავაგრძელო საქმიანობა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში. სურვილი მაქვს კომისიის საქმიანობის შესახებ ყველა ინფორმაცია მივაწოდო კომისიის ახალ წევრებს, თუ რომელ სამსახურებს ვუწევთ ზედამხედველობას, მონიტორინგს და რა ნაწილში. ასევე საშუალება გვექნება 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის ცალკე განხილვის. 2017 წლიდან კომისია ყველა მუნიციპალურ პროგრამას სწავლობს, რომელიც ეხება სპორტს და ახალგაზრდობას, ან კვეთაშია აღნიშნულ მიმართულებებთან, მათ შორის შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების და ღონისძიებების კუთხით. ასეთია მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)იპ-ები, რაიონული გამგეობების კეთილმოწყობის და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განყოფილებები. ჩვენი მთავარი პროგრამებია - პარასპორტის, მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა, წარმატებული სპორტსმენების პრემირება, ინფრასტრუქტურის მიმართულებები. სპორტული და ახალგაზრდული ა(ა)იპ-ების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ეტაპობრივად მოგაწვდით. ჩვენი მიზანია თბილისის ათივე რაიონში აშენდეს მინიმუმ ერთი მულტიფუნქციური ცენტრი მაინც, ორი ცენტრის მშენებლობა დაწყებულია ვარკეთილში და დიდ დიღომში, რომელიც 2022 წელს უკვე დასრულდება, ეს გახლავთ ყველაზე მსხვილი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტი, რაც ქალაქში იქმნება. ორი მცირე მულტიფუნქციური ცენტრი უკვე შეემატა დედაქალაქს და სრული დატვირთვით ფუნქციონირებს ზღვის უბანში და ლილოში.

ნინო კვიტაიშვილი - მოგესალმებით, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში ყოფნა განპირობებულია ჩემი წინარე ცხოვრებით, ვინაიდან მაქვს ახალგაზრდებთან მუშაობის დიდი პრაქტიკა, მათ შორის ხუთი წლის მანძილზე ვმუშაობდი კრიმინალიზებულ მოზარდებთან. მიმაჩნია, რომ სპორტში ჩართულობა არის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი, რათა დედაქალაქი იყოს ნაკლებად კრიმინალიზებული. როგორც საკრებულოს წევრი, ვარ განაწყენებული რამდენიმე გარემოებით, კერძოდ კი რიგი მასალები მივიღე გუშინ, რაც არ იძლევა საშუალებას საქმიან რეჟიმში მუშაობის, ფიზიკურად მათი შესწავლის დრო არ მომეცა, შესაბამისად დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში ჩავერთვები, მაგრამ პროტესტის ნიშნად საკითხთა კენჭისყრაში მონაწილეობას არ მივიღებ.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 3 476,9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მცირდება ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები - 3 253,9 ათასი ლარით და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები - 220,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა არ იცვლება და შეადგენს 1 270 531,8 ათას ლარს. რაც შეეხება ეკონომიებს, გადასახდელების ნაწილში 29 000,0 ათასი ლარი იქნა მოძიებული, მათ შორის 28 000,0 ათასი ლარი არის სპეც ტრანსფერი ფინანსთა სამინისტროდან, რომელიც მოიცავს მიმდინარე პროექტებს, არის სხვადასხვა გარემოებები ზოგიერთ შემთხვევაში ტენდერი იქნა შეწყვეტილი, მაგალითად ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის დასრულება სწორედ ამის გამო ვერ მოესწრო, ასეთივე მდგომარეობაა ბაგა-ბაღების მშენებლობის პროცესში რამდენიმე მისამართზე. მსგავსი პროექტები გადადის და 2022 წლის ბიუჯეტის პირველივე ცვლილებისას აისახება. ეს თანხები გადანაწილდება ჯანდაცვის პროგრამებში და ტრანსპორტის მიმართულებით, კერძოდ ახალი ავტობუსების შესაძენად.

რაც შეეხება სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებას მოხდა გარკვეული საბიუჯეტო სახსრების გადანაწილება, რის ხარჯზეც მცირდება: მწვრთნელთა მხარდაჭერა (კოდი 08 06 02) – 10,3 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება (კოდი 08 06 04) – 12 961,0 ათასი ლარით, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (კოდი 08 06 05) – 37,1 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 585,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01)- 90,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) – 96,4 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 96,9 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 10,0 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 25,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) – 96,7 ათასი ლარით. ბიუჯეტის ცვლილებით სპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 06) და ახალგაზრდული ღონისძიებები (კოდი 08 08) მცირდება და წარმოდგენილია 21 213,9 ათასი ლარს.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები პანდემიის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ნორმალური ტემპით მიმდინარეობს. ასევე ყველა მნიშვნელოვანი სპორტული და ახალგაზრდული პროგრამა შეუფერხებლად გრძელდება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ავთანდილ ცინცაძე, გივი ჩხარტიშვილი, აკაკი ალადაშვილი - **(4),**

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ნინო მაღრაძე - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ ქონების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 0,001%-ს, აღნიშნული შეღავათით სარგებლობენ სპორტული პროფილის მქონე ობიექტები, ხოლო საშეღავათო პერიოდი განისაზღვრა 2023 წლის პირველ იანვრამდე. მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული დავალიანების დაფარვა პრობლემურია, რადგან ეს დარგი არაა მომგებიანი და საჭიროებს მხარდაჭერას.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - ქონების გადასახადი მნიშვნელოვანი შეღავათია, რომელიც მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებსაც შეეხებათ. აღნიშნულით სარგებლობა შესაძლებელია, თუ ობიექტის პროფილი ხვდება ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილ კლასიფიკატორში, ორგანიზაცია მიმართავს შესაბამის უწყებას შეღავათით სარგებლობისთვის. მოგეხსენებათ, რომ სპორტი ნაკლებად მომგებიანი დარგია, ეს შეღავათი კი დიდ ხელშეწყობას წარმოადგენს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ავთანდილ ცინცაძე, გივი ჩხარტიშვილი, აკაკი ალადაშვილი - **(4),**

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების ცვლილების შესახებ კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, როგორც ვიცით ბოლო ორი წელია მიმდინარეობს დედაქალაქში რეგისტრირებული მაღალი მიღწევების მქონე სპორტსმენების (ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები/პრიზიორები) დაჯილდოების პროგრამა, აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა, რომ სპორტსმენი პირველი იანვრიდან უწყვეტად უნდა ყოფილიყო თბილისში რეგისტრირებული, იყო მცირე ხარვეზები, გავითვალისწინეთ ფედერაციების თხოვნები და ორწლიანი პრაქტიკიდან გამომდინარე, არსებული ხარვეზების ცვლილება ხდება წესში. სპორტსმენების ჩაწერასთან დაკავშირებით, რომ არ შექმნილიყო დაბრკოლება, ვიცით თბილისელი სპორტსმენების უმრავლესობა რეგიონის სახელით ასპარეზობდა, სწორედ ასეთი წახალისების არქონის გამო. ასევე დროებითი საცხოვრებელი ადგილის ცვლილების ფაქტების გათვალისწინებით, მივიღეთ რეკომენდაცია და მიგვაჩნია, რომ სამართლიანი იქნება წესში აისახოს - ტურნირის დაწყებამდე თბილისში ჩაწერის კომპონენტი, პროცესი ფედერაციებთან კოორდინაციით ხდება. ყველა ცვლილებას და დეტალს ვეთანხმებით, რაც საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაზე გაჟღერდა, ვითვალისწინებთ რა, პანდემიას და ყველა სხვა ნიუანსს, გვსურს წლის ბოლომდე მოესწროს აღნიშნული პროცესის (დაჯილდოების) წარმატებით დასრულება.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - დავამატებ, რომ იურიდიულ კომისიაზე დავაყენეთ წინადადება წესის მე-6 მუხლის, დაფინანსების გაცემის ნაწილში მე-4 და მე-5 პუნქტების ცვლილებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც დაჯილდოების წინ მერიაში განაცხადის წარმდგენი იქნება საქართველოს ეროვნული ფედერაცი და პარალიმპიურ კომიტეტი, ისინი ვალდებულები იქნებიან გადაუგზავნონ მაღალი მიღწევების სპორტსმენთა, პარასპორტსმენთა სრული სია.

ნინო კვიტაიშვილი - ხომ არ გამოიწვევს აღნიშნული წესი, წარმატებული სპორტსმენების თბილიში მასიურ გადმოწერას და რეგიონებს დატოვებს წარმატებული სპორტსმენების გარეშე?

ავთანდილ ცინცაძე - აღნიშნული წესის არქონის გამო თბილისელ სპორტსმენებს უწევდათ სხვადასხვა რაიონის სახელით ასპარეზობა, მათ შორის მეც ასევე. თითქმის ყველა რაიონს აქვს პრემირების პროგრამა და საკმაოდ სოლიდური.

ირაკლი გვილავა - წესი სრულყოფილი ნამდვილად არ გახლავთ. ორი წლის პრაქტიკიდან გამომდინარე მივიღეთ შესაბამისი ცვლილებები, შესაძლებელია კიდევ მოხდეს კორექტირება. ახალი გამოწვევების გათვალისწინებით, მომავალში ეტაპობრივად უფრო სრულყოფილს გავხადით სისტემატიური ანალიზის საფუძველზე. წესში ცვლილება სპორტსმენების თბილისში მასიურ გადმოწერას ნამდვილად არ გამოიწვევს, რადგან რეგიონებში მსგავსი წესი მოქმედებს წლებია, პირიქით თბილისელ სპორტსმენებს აღარ მოუწევთ რეგიონში ჩაწერა პრემირებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, გივი ჩხარტიშვილი, აკაკი ალადაშვილი - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის შენიშვნების გათვალისწინებით პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე